# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39 (9.848)

13 - 20 ოქტომბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მომავალი წლიდან აღდგება

გვ. 2

## საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე

გვ. 5

## ხელშეშლა, თუ ცრუ ბრალდება?

გვ. 2

## მერმა დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტი მოინახულა

გვ. 3

## პლასტიკის პარკები თუ პლანეტა დედამიწა?!

გვ. 6

გვ.8

## სიკეთე გადამდებია...

## მირზაანში ნიკალას ბიძაშვილების სახლი აღადგინეს

სახლის ნაშთები მოუვლელი იყო, რაც ტურისტების, თუ სტუმრების ჩამოსვლის დროს ამ უნიკალურ გარემოში გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა. მით უფრო, რომ ეზოში შესვლისთანავე ეს შენობა მდებარეობს და პირველ შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც გადაწყდა, მისი რეაბილიტაცია მომხდარიყო

გვ.5

„მსოფლიო ბანკის გრანტი 37 300 ლარია, ხოლო დაახლოებით 15 ათასი ლარი მემკვიდრეობის სააგენტომ გაიღო.“




გვ. 2

## ქალაქის გამარჯვებულები გამოვლინდა

## უურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-ის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 28 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

# სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მომავალი წლიდან აღდგება

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე ჩანაწერი არ იძებნება, ხოლო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პირველადი ინფორმაციით, პროგრამის აღდგენა ვერ ხერხდებოდა, უწყება პირობას დებს, რომ მომავალი წლიდან პროგრამა აღდგება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2017 წელს გაუქმდა. ის სოფლებში მცირე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. გადაწყვეტილებას კი, თუ კონკრეტულად რა პრობლემა მოგვარებულიყო, სოფლის კრების მეშვეობით, თავად მოსახლეობა იღებდა.

ცხადია, ამ პროგრამას ხარვეზები ჰქონდა და ეს ხარვეზები, პირველ რიგში, სწორედ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის საკითხს უკავშირდებოდა. როგორც ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანმა განაცხადა, ამჟამად მუშაობა სწორედ ამ კომპონენტის გაძლიერებაზე მიმდინარეობს. კონკრეტულად, როგორ აპირებს სამინისტრო მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, კონსულტაციებს თავად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც გადიან და პროგრამას საბოლოო სახე მალე მიეცემა.

თავად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა, რომლითაც მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტები ფინანსდება, 2019 წელს 280 მილიონი ლარით არის განსაზღვრული.

გასულ კვირას საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტმა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა.

კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა გაბუნიას განცხადებით, მნიშვნელოვანია რომ რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკის შენარჩუნებასთან ერთად, მომავალ წელს რეგიონულ პოლიტიკაში იქნება სიახლეებიც.

„ჩვენ განვიხილეთ ბიუჯეტის პროექტი. მნიშვნელოვანია, რომ გვაქვს სიახლეებიც და მომავალი წლიდან გაიზრდება მთაში მცხოვრებთა პენსია, ისევე როგორც სხვა დასახლებებში მცხოვრებთა პენსია. ვზრდით ზოგადად მთაში მცხოვრებთა დაფინანსებას, ვიწყებთ სოფლის მხარდაჭერის პროგრამას და მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს“, — განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

შეგახსენებთ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება საქართველოს მთავრობამ 2009 წელს დაიწყო და 2017 წელს სრულიად მოულოდნელად და ყოველგვარი განმარტების გარეშე გააუქმა. პროგრამის გაუქმებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატები ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა, ის ვერც 2017 და ვერც 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ვეღარ მოხვდა. თავდაპირველად ხელისუფლება არ ასახელებდა მიზეზს, თუ ამგვარი გადაწყვეტილება რის გამო მიიღო, თუმცა, მოგვიანებით ითქვა, რომ პროგრამა არაეფექტური იყო და ბიუჯეტს 50 მილიონი ლარი დაუზოგეს.

# ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონებზე გამოყოფილი თანხების განაწილების სისტემა იცვლება

2019 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონებზე გამოყოფილი თანხები ახალი პრინციპებით გადანაწილდება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილის თქმით, პროექტი, რომელიც 2019 წლის 1-ელი იანვრიდან დამატებული ღირებულების გადასახადის 19%-ის მუნიციპალიტეტზე განაწილებას ითვალისწინებს, ფისკალური დეცენტრალიზაციის შემადგენელი ნაწილია და მათ გაძლიერებას გულისხმობს.

„ეს არის შემოთავაზება, რომელიც არის დეცენტრალიზაციის პროცესის ერთ-ერთი ნაწილი. დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მათ შორის ვმუშაობთ ფისკალურ დეცენტრალიზაციაზე, რაც პირველ რიგში გულისხმობს რეგიონებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გადანაწილების ახალ პრინციპებს. ამ ეტაპზე რეგიონების საკუთარი შემოსავლები შედგება როგორც ბიუჯეტიდან მიმავალი ტრანსფერებისგან, ასევე მათი წილით იმ გადასახადებიდან, რომლის აკრეფაც ქვეყანაში ხდება. შესაბამისად, ახლა ვსაუბრობთ იმაზე, რომ ეს არის ახალი ხედვა ფისკალური დეცენტრალიზაციის საკითხში, თუ როგორ გავზადროთ თვითმმართველობის წვდომა ბიუჯეტზე, როგორც გავზარდოთ მათი რესურსი იმისათვის, რომ უკეთ შეძლონ იმ ფუნქციების შესრულება, რომელიც მათ დღეს აქვთ. ეს არის ნაწილი იმ საერთო პროცესის, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ. ამჯერად ეს არის მთლიანობაში ფისკალური დეცენტრალიზაციის საკითხი. ჩვენ ვსაუბრობთ როგორც ტრანსფერის ფორმულაზე, ასევე არსებული გადასახადების რეგიონებში სხვაგვარ განაწილებაზე, რათა გადასახადების უფრო მეტი წილი დარჩეს რეგიონებში, რაც ამ რეგიონების ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას შეუწყობს ხელს“, — აღნიშნა ცქიტიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის გამოსაყოფი ტრანსფერის სახე — ე.წ. გათანაბრებითი ტრანსფერი აღარ იარსებებს. მაია ცქიტიშვილის განცხადებით, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან განაწილებული გადასახადის (tax sharing) სისტემა ამოქმედდება და დამატებული ღირებულების გადასახადის 19% მუნიციპალიტეტზე განაწილდება. მთავრობის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარედგინა.

# გამარჯვებული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „ეტალონის“ 2018-2019 სასწავლო წლის ჩემპიონის დასადგენად ცოდნის შეჯიბრი დღეს დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში ჩატარდა, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მერვე-მეთორმეტე კლასის 66 მოსწავლე მონაწილეობდა.

ეროვნულ ინტელექტ ჩემპიონატს „ეტალონის“ უცვლელი წამყვანი, გოჩა ტყეშელაშვილი უძღვებოდა. ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ეთერ დავითაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი და საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ბახუტაშვილი ესწრებოდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელები „ეტალონში“ მონაწილეებს მიესალმნენ და მეოთხედფინალში გამარჯვება უსურვეს.

შეჯიბრის ბოლოს 66 მონაწილიდან 3 საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლე შეირჩა. **მესამე ადგილი გამარჯვების საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთევან ჭრელაშვილმა მოიპოვა, მეორე ადგილზე გავიდა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ზაქარია ჭუაძე, გამარჯვებული კი ამავე სკოლის მეთერთმეტეკლასელი** მადინა ღანიშაშვილი **გახდა.**

გამარჯვებული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში დედოფლისწყაროს სახელით წარდგება და ქვეყნის პირველობისთვის იბრძოლებს. ფინალი 2019 წლის ზაფხულის დასაწყისში თბილისში გაიმართება.

გამარჯვებულის ტიტული დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლის - მადინა ღანიშაშვილისთვის „ეტალონში“ მონაწილეობის მეორე მცდელობა იყო და მან ამჯერად ოცნება აისრულა. ის მშობლიური რაიონის გამორჩეული მოსწავლე გახდა.

„არც მახსოვს იმ წამს რა გავაკეთე. სასწაული ემოცია მქონდა, ალბათ. თავიდან მეგონა, ათეულშიც ვერ შევდიოდი და უცებ – პირველი ადგილი. ბოლოს ორი მოსწავლე რომ დავრჩით, დრო ისე გაიწელა, ვიფიქრე, აუცილებლად მეორე ადგილზე ვარ-მეთქი. ვერ ვხვდები, რა სიტყვებით გადმოგცეთ ეს ემოცია, ეს ხომ ჩემთვის მეორე მცდელობა იყო.

პირველად ორი წლის წინ ვიყავი, მაგრამ მაშინ მეორე ტურშიც ვერ გადავედი. წელს გადავწყვიტე, კიდევ გამომეცადა ჩემი თავი და დღეს, პირველი ადგილის მფლობელი ვარ. უბედნიერესი ვარ, მართლა...“ - აღნიშნა მადინა ღანიშაშვილმა.

მადინას ისტორია კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ განათლებაში აუხდენელი სურვილები არ არსებობს, მთავარია, მონდომება და კარგად სწავლა. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორმა - ეთერ ოთარაშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მისი სკოლა მომავალ წლებში უკვე ტრადიციად დაამკვიდრებს „ეტალონი მოსწავლის“ გაზრდას და ამისთვის ყველაფერს გააკეთებს თავის გუნდთან ერთად:

„მისასალმებელია, რომ ეს პროექტი წლების განმავლობაში ასეთი აქტური და პოპულარულია. ბედნიერებაა, როდესაც ასეთი სიამაყით შეგიძლია თქვა, რომ „ეტალონი მოსწავლე“ სწორედ შენი სკოლის მოსწავლეა. მაგრამ მინდა აქვე ვთქვა უმნიშვნელოვანესი რაღაც. ეს გარკვეულწილად გამოცდილების გაზიარებაც იქნება ალბათ სხვა სკოლებისთვის. ჩვენს სკოლას შარშან არცერთი საპრიზო ადგილი არ მიუღია, მაგრამ წელს „ეტალონი მოსწავლე“ გვყავს. დღეს ეს ისეთი სიხარული იყო, მომავალ წელს ალბათ ყველა კლასში შევალ და ჩემს მოსწავლეებს მოტივაციას მივცემ მოემზადონ მომავალი წლის კონკურსისთვის. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს წარმატება ტრადიციად ვაქციოთ. ჩვენს სკოლაში ამის რესურსი კარგი მოსწავლეების სახით ნამდვილად არის და არ გავუშვებთ ასეთი წარმატებების შანსს ხელიდან.“

**საკრებულოს განათლების კულტურის, სპორტის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ** მიხეილ ბახუტაშვილმა აღნიშნა, რომ ღონისძიებაზე შემოსვლის წუთიდან ისიც მონაწილესავით ადევნებდა ეკრანს თვალს და ეძებდა პასუხებს კითხვებზე.

„ეს პროექტი ბავშვებს აძლევს საშუალებას, იყვნენ მეტად თავდაჯერებულნი და ჰქონდეთ მოტივაცია. მე, პირადად, უდიდესი გულშემატკივარი ვარ ამ პროექტის და ყოველთვის დიდი სიხარულით ვესწრები, როდესაც ჩემს რაიონში ხდება ეს მოვლენა - „ეტალონის“ ჩამობრძანება. სხვათაშორის, მინდა გითხრათ, დედაჩემი 70 წლის ასაკშიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარია ამ პროექტის, როდესაც ტელევიზიით გადიოდა, ყოველთვის დიდი სიამოვნებით უყურებდა. თქვენ ალბათ ვერ წარმოგიდგენიათ რამხელა ბედნიერება, სიამოვნება და სიხარული მიანიჭეთ არა მარტო ბავშვებს, არამედ ჩვენ, უფროსებსაც. მინდა, ბატონ გოჩას და მთელ შემოქმედებით ჯგუფს დიდი წარმატებები ვუსურვო. ვისურვებდი, ეს პროექტი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს“.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ** გოჩა სამუკაშვილმა საგანმანათლებლო კონკურსების არსებობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა:

„ეტალონი“ დიდი სტიმულია ახალგაზრდებისთვის, სტიმული განვითარებისთვის და ცხოვრებაში წინსვლისთვის. აქტიურად ვადევნებ თვალყურს ამ პროექტს და ცხადია მსგავს წამოწყებებს მომავალშიც ყოველთვის მივესალმები. მნიშვნელოვანია ახალი თაობებისთვის ასეთი საგანმანათლებლო კონკურსების არსებობა. „ეტალონს“ წარმატებებს, ხოლო ჩვენს ახალგაზრდებს ამ კონკურსის დიდხანს არსებობას ვუსურვებ.“

**რესურსცენტრის უფროსის** ეთერ ზურიკაშვილის თქმით, „ეტალონისთვის“ წლიდან წლამდე ემზადებიან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თხუთმეტივე სკოლაში.

„დღეს დედოფლისწყაროში ცოდნის ზეიმი იყო. მოგახსენებთ, რომ „ეტალონი“ არაჩვეულებრივი პროექტია ბავშვების მოტივაციისათვის, მათი ცოდნის გაღრმავებისათვის. წლიდან წლამდე იზრდება ჩვენი მოსწავლეების მომზადების დონე, იზრდება მონაწილეობის მსურველთა რიცხვი და ეს სავსებით ლოგიკურია. მინდა აქვე აღვნიშნო არა მხოლოდ კონკრეტული სკოლების, არამედ მთლიანად დედოფლისწყაროს ჩართულობა კონკურსში. ინფორმაციის მიღებისთანავე ყველა სკოლამ აქტიურად დაიწყო სამზადისი. ვგულისხმობ როგორც ბავშვებს, ასევე მასწავლებლებს. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მიღწევებით და კიდევ ერთხელ ვულოცავ გამარჯვებულს და ასევე ყველა მოსწავლეს, ვინც მონაწილეობდა, რადგან ეს უკვე ნიშნავს ძალიან დიდ წარმატებას“.

# მერმა დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტი მოინახულა

მირზაანი-ზემო მაჩხაანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე სისტემა და დაეგო ასფალტის ორმაგი საფარი.

დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის წარმომადგენელთან, გიორგი იაკობიშვილთან ერთად მოინახულა და მოსახლეობას გაესაუბრა. მუნიციპალიტეტის მერთან საუბარში ზემო მაჩხაანელებმა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის და იმ ყურადღებისთვის, რომელსაც ხელისუფლების მხრიდან გრძნობენ, მადლიერება გამოთქვეს.

# ქვემო ქედში გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან და გაზის ტრანსპორტირების კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ქვემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების სამუშაოები დაათვალიერა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვემო ქედი -არხილოსკალოს გაზიფიცირება, რომლის დასრულების შემდეგაც მოხდება დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენა.

უკვე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია და უახლოეს მომავალში სამუშაოები ზემო ქედსა და ცენტრალური მაგისტრალზეც დაიწყება.

# ხელშეშლა, თუ ცრუ ბრალდება?!

***ინციდენტი მოხდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში. სოფლის რწმუნებულსა და მაჟორიტარ დეპუტატს შორის დაპირისპირება გაზმომარაგების სისტემის მონტაჟის სამუშაოების დაწყებას მოჰყვა. როგორც სოფლის მაჟორიტარი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ავთანდილ ხარხელაური განმარტავს, ქვემო ქედელთა ნაწილი ფიქრობს, რომ ბუნებრივი აირის შეყვანა სოფელში არასწორად დაპროექტდა, რის გამოც წყალსადენი მილები დაზიანდა. სოფელ ქვემო ქედის მაჟორიტარი დეპუტატი მერის წარმომადგენელს ავთანდილ ხუმარაშვილს წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლაში ადანაშაულებს.***

„სოფლის მაცხოვრებლებთან ამ საკითხებს განვიხილავდით წინასაარჩევნო შეხვედრის დროს, რამაც სოფელში მერის წარმომადგენელი გააღიზიანა,“ — აღნიშნავს დეპუტატი.

მისი თქმით, მერის რწმუნებულმა ავთანდილ ხუმარაშვილმა ის შეხვედრაზე ადგილობრივების წაქეზებაში დაადანაშაულა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ხელი ჰკრა. ოპოზიონერმა დეპუტატმა, რომელიც დედოფლისწყაროს საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია, რაეაგირებისათვის პოლიციას უკვე მიმართა.

მომხდარზე განმარტება გააკეთეს დედოფლისწყაროს მერიაშიც. სოფლის რწმუნებულის მხრიდან რამე სახის შეურაცხყოფის მიყენებას დედოფლისწყაროს მერი გამორიცხავს. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კონფლიქტის პროვოცირებაში დეპუტატი დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ინციდენტი ხალხელაურმა დაიწყო.

ბრალდებების ადრესატი, სოფლის რწმუნებული ავთანდილ ხუმარაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ადასტურებს, რომ შეიგინა, თუმცა არა ხარხელაურის მისამართით. ის ამტკიცებს, რომ არავის შეხებია და ინციდენტის ადგილას იმ დღეს არც წინასაარჩევნო შეხვედრა გამართულა, შესაბამისად კამპანიის წარმოებაში ხელს ვერავის შეუშლიდა.

„გაზის გაყვანის დროს ხარვეზები ნამდვილად იყო, სადაც საქმე კეთდება, იქ შეიძლება რაღაცა ყოველთვის დაზიანდეს. ბევრ ოჯახთან გაუშვა წყალმა, მაგრამ ვინც სახლში იყო და გაყვანის დროს მეთვალყურეობდა იქ არაფერი დაზიანებულა, მაგრამ ისეთ სახლებში, ვინც ადგილზე არ იყო, მილები დაზიანდა. თუმცა, ხარვეზები მალევე აღმოიფხვრა, თავად კომპანიამ საკუთარი სახსრებით იმავე წუთას გამოასწორა მდგომარეობა, სულ რამდენიმე საათში აღადგინეს. იმდენად სწრაფად მიმდინარეობს გაზსადენი მაგისტრალის მშენებლობა, რომ მე ვფიქრობ, 3 კვირაში დროზე ადრე დასრულდება კიდეც. სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია და მალე დაასრულებენ, რის შემდეგაც უკვე „სოკარი“ გააგრძელებს მრიცხველების გაყვანას და კონკრეტული აბონენტების მაგისტრალზე დაერთების სამუშაოებს.

მე, როგორც სოფლის რწმუნებული, ყოველდღიურად მივდივარ ამ სამუშაოებს ვაკვირდები, რომ რამე შეფერხება არ იყოს და ხელი შევუწყო. ასე ვიყავი მისული ამ ინციდენტის დროსაც. იქ აბსოლუტურად არავინ არ დაგვხვდა. მხოლოდ წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც გეგმავდნენ, რომ წყალი ჩაერთოთ. ამაზე სხვებმა და მეც ვუთხარით, რომ მილები დაზიანებული იყო და არ გაეშვათ, რადგან ორმოები გაივსებოდა. მხოლოდ ეს ვთქვი, შეკეთებამდე მოეცადათ და შემდეგ ჩაერთოთ, რაზეც დამეთანხმნენ. ამ ადგილას არანაირი პარტიის წარმომადგენლები, ან ამომრჩევლები არ ყოფილან, საერთოდაც არავითარი შეხვედრა არ იყო. ამიტომ მეწყინა, რომ უკადრებელი და ძალიან ცრუ ბრალდებები წამოვიდა ჩემი მისამართით. დაახლოებით 100 მეტრში ცხოვრობს მაჟორიტარი ამ ადგილიდან და ამ დროს სახლიდან გამოვიდა და შემოგვიერთდა. მილების დაზიანება სხვა უბნებშიც იყო, მაგრამ ხარხელაური იქ არ მოსულა, მხოლოდ თავის უბანში გააპროტესტა. რადგან თავის სახლთან იყო, ამიტომ მოვიდა. უნდოდათ, ორმოებში წყალი რომ დაგუბდებოდა, ეს გადაეღოთ და შემდეგ ეთქვათ, რომ გაზიფიცირების საშვილიშვილო და მასშტაბური პროექტი ხარვეზებით მიდისო. შავი პიარის აგორებას ცდილობდნენ.

ახლოსაც არ მივსულვარ, მითუმეტეს, ხელი რატომ უნდა მეკრა? საერთოდ არ შევხებივარ... მთელი ცხოვრება ზედმეტად თავშეკავებული ვარ, მაგრამ ზედმეტი მოუვიდა, იკადრა და ავღელდი. მაგრამ, ზოგადად შევიგინე, მას არ ვაგინებდი... საერთოდ ვთქვი, დაუნახავობა არ შეიძლება მეთქი და ამ დროს შევიგინე, ვინმეს მისამართით ეს არ ყოფილა. ვინც მიცნობს, იციან, რომ ძალიან მორწმუნე ვარ, სტიქაროსანი, მართლმადიდებლურად გავიზარდე, ამიტომ ასეთი რამ ჩემთვის მიუღებელია. გულწრფელად გითხრათ, ვნანობ კი არა, ძალიან განვიცდი, რომ ასე მოხდა. ხელი რომ მეკრა თანამდებობიდანაც წავიდოდი და სოფელსაც დავტოვებდი. მაგრამ, ღმერთია მოწმე, ახლოს არ მივსულვარ... მომხდარიდან რამდენიმე საათში არხილოსკალოს პოლიციის ქვეგანყოფილებაში დამიბარეს და ჩვენება მივეცი. მას შემდეგ პოლიციას ჩემთან აღარ დაურეკია, მათ დავუსახელე მოწმეთა ვინაობაც. არ ვიცი ისინი ვის მხარეს დაიჭერენ, მაგრამ მათ დანამდვილებით დაინახეს, რომ არც ხელი მიკრია და არ შევხებივარ. მოგვიანებით თავადაც აღიარა, რომ ამომრჩეველთან შეხვედრა არ ყოფილა და არც ხელი მიკრავს. მაგრამ მთავარია, რომ მედიაში ასე გავრცელდა და ბრალი დამდო იმაში, რაც არ მომხდარა. არ ვიცი ასე რატომ მოიქცა, მანამდე ნორმალური ურთიერთობა გვქონდა, ჩემთან სახლშიც რამდენჯერმე ნამყოფია და არანაირი დაძაბულობა არ გვქონია, “ — აცხადებს ავთანდილ ხუმარაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

# წინასაარჩევნო გარემო, „პლაკატების და რეიტინგების ომი“ და ევროპასთან ინტეგრაცია

**საარჩევნო ტაიმერი უკვე ჩაირთო. პრეზიდენტობის კანდიდატებმა მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყეს. ამომრჩეველთან პირისპირ შეხვედრამდე კი, პოლიტიკური დივიდენდების ჩასაწერად მედიასაშუალებებს აქტიურად იყენებენ და სარეკლამო კლიპების მეშვეობით ცდილობენ ამომრჩევლის „მოთაფლვას“. მეთოდი ძველია და ნაცნობი – კონკურენტების „გაშავება“, სიძულვილის ენით საუბარი და მოღალატედ შერაცხვა პოლიტიკოსის, რომლის დამარცხების დაუოკებელი სურვილიც „ჰკლავთ“. ძნელია, ამ დროს გაარჩიო მტყუან-მართალი, მაშინ, როცა ტყუილიც კარგადაა შეფუთული და ისე გაწვდიან, რომ ადვილად შეიძლება დაიჯერო...**

მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამის პოლიტიკოსებსა და მათ პიარტექნოლოგებს უფრო სჯერათ, რადგან ამომრჩეველთან საუბრისას აშკარად იკვეთება მათი განსხვავებული პოზიცია...

პოლიტიკური პიარის ტექნოლოგია, კარგა ხანია, დაძველდა საქართველოში, ისევე, როგორც პარტიები და კანდიდატები. პოლიტიკოსებს ავიწყდებათ, რომ ხალხს მოკლე მეხსიერება ნამდვილად არ აქვს. ქართველ ადამიანებს ახსოვთ მრავალპარტიაგამონაცვალი პოლიტიკოსები, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩასაძირად განწირული გემიდან გადმოხტომასა და სხვის ნავში გადაჯდომაში. ახლა ისინი ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ, რომ ძველ მრწამსთან საერთო აღარაფერი აქვთ და წარსულის მარწუხებისგან საბოლოოდ გათავისუფლდნენ. თუმცა, თუ მათ პოლიტიკურ პლატფორმასა და პათოსს გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ ბევრი არაფერი შეცვლილა, პარტიების სახელწოდებების გარდა...

პოლიტიკურ პიარტექნოლოგიებთან ერთად მიუღებელი ხდება საზოგადოებისთვის კონკურენტებთან ბრძოლის ის მეთოდებიც, ყოველი წინასაარჩევნო კამპანიისას რომ ამართლებს სახელს, რომელიც მას დამსახურებულად „მიანიჭეს“– „ბრძოლა წესების გარეშე“.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა და, შესაბამისად, კანდიდატებსა და მათ მომხრეებს შორის ბრძოლაც სულ უფრო აქტიურ ფაზაში გადადის, ბრძოლის ყველაზე გავრცელებული მეთოდი კი კონკურენტის სააგიტაციო მასალაზე „შურისძიებაა“. „პლაკატების ომში“, ძირითადად, კონკურენტის სურათების ჩამოხევისა და ზედ გადაკვრის პრაქტიკაა გავრცელებული.

წინასაარჩევნო ბრძოლის ერთგვარი მეთოდი სოციოლოგიური გამოკითხვებია, სადაც სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა სხვადასხვა შედეგს იძლევა. სოციოლოგიური კვლევის ყველა დამკვეთი ირწმუნება, რომ მათ მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური რეიტინგი ობიექტურია და შორსაა მიკერძოებისგან, თუმცა, მათ სანდოობაზე არჩევნების შედეგები მეტყველებს-ხოლმე.

რა სიურპრიზებს შემოგვთავაზებენ არჩევნებამდე პოლიტიკური სუბიექტები, ძნელი სათქმელია, თუმცა „ჩანაწერების ომიც“ რომ დაიწყო, რომელიც, ასევე, არ ახალი და აპრობირებული მეთოდია, ფაქტია.

მშვიდობიან წინასაარჩევნო პერიოდს გისურვებთ, საქართველოს მოქალაქეებო, და ვისურვებდი, რომ ბევრად ევროპული წინასაარჩევნო კამპანიის კულტურა ჩამოყალიბებულიყოს ჩვენს ქვეყანაში. ევროპასთან ინტეგრაცია მარტო სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე არ ხდება, ის ჩვენი, ყველას ამოცანა უნდა იყოს. ევროპული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრება კი ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ინგა შიოლაშვილი

## წინასაარჩევნო შეხვედრები დედოფლისწყაროში

# სალომე ზურაბიშვილი: „მე ვიქნები სიმართლის მთქმელი პრეზიდენტი“...

*8 ოქტომბერს დედოფლისწყაროელ მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა დამოუკიდებელმა პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა. მან აღნიშნა, რომ უბატონო ქიზიყი მისთვის თავისუფლებისა და პრინციპულობის მაგალითია. „იმედი მაქვს, რომ თქვენ გააკეთებთ თავისუფალ არჩევანს და ეს არ იქნება ვინმეს ნაკარნახევი“-მიმართა სალომე ზურაბიშვილმა დედოფლისწყაროელ ელექტორატს და დღევანდელ, მისთვის მიუღებელ წინასაარჩევნო გარემოზეც ისაუბრა, სადაც სიძულვილის ენა ჩვეულებრივი მოვლენაა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მისი წინასაარჩევნო კამპანია არ არის აგებული ტყუილ დაპირებებზე, მხოლოდ მომგებიან პიარკამპანიაზე, ამიტომ ის არ აპირებს ხმამაღალი დაპირებებით „გააბრუოს“ ამომრჩეველი.*

„მე ვიქნები სიმართლის მხარეს. მე ვიქნები სიმართლის მთქმელი პრეზიდენტი. მე ვიქნები დამოკიდებული არა რომელიმე პარტიაზე, არამედ თანამშრომლობაზე. მე რეალისტი ვარ და მინდა, რომ საქმე გაკეთდეს.

საქართველო არის კუნძული არა მხოლოდ სტაბილურობის, არამედ იმ ფასეულობების, რისი წყურვილიც არის დღეს მსოფლიოში“.

ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ქიზიყისთვის დამახასიათებელი თავისუფლებისმოყვარე და ობიექტური პრეზიდენტი ეყოლება. პრეზიდენტობის კანდიდატმა თავის გამოსვლაში ასევე ყურადღება გაამახვილა მედიცინის სფეროს განვითარებაზე და განაცხადა, რომ საქართველოში უნდა აშენდეს ონკოცენტრი, რათა საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ ადგილზე მკურნალობა.

სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ის იქნება პრეზიდენტი, რომელიც ხალხსა და ხელისუფლებას შორის მედიატორის ფუნქციას შეასრულებს. „თუ თქვენი ნდობით აღჭურვილი ვიქნები, მე მივიტან თქვენს ხმას ხელისუფლებამდე, მნიშვნელობა არ აქვს, ეს იქნება მთავრობის მოსაწონი თუ არა. მე არ ვიქნები სასახლეში, მე ვიქნები ხალხთან და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გავიტანო ქვეყნის იდენტობა და მისი კულტურა საზღვარგარეთ“. ზურაბიშვილმა ემიგრაციაში წასულ საქართველოს მოქალაქეებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში მათ ღირსეულ დაბრუნებაზე იზრუნებს.

„საქართველო კუნძულია სწორედ იმ ფასეულობების, რომელიც იკარგება ევროპაშიც და მთელ მსოფლიოშიც. ამიტომ ვართ ჩვენ ასე საინტერესო ტურისტებისთვის. დიახ, ჩვენ უნდა ვიყოთ ქვეყანა, ცოტა უცნაური სხვებისთვის-თანამედროვეობის გამორჩეული მაგალითი წარსულის ფასეულობებით. ეს ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ყველას. ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება“.

დედოფლისწყაროში გამართულ შეხვედრას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი შიოლაშვილი დაესწრნენ.

პრეზიდენტობის კანდიდატმა „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებთან ერთად შირაქის ველზე, ე.წ. დიდნაურის ნაქალაქარი დაათვალიერა, სადაც მასშტაბური არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს.

# გრიგოლ ვაშაძე: „ელიას მადლით აღმოგვეფხვრას სილარიბე, სიდუხჭირე, გაჭირვება“

გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო კამპანია დედოფლისწყაროში მისი მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს. ვაშაძე დედოფლისწყაროს 2 აგვისტოს, ელიაობის დღესასწაულთან დაკავშირებით ეწვია, თუმცა რაიმე ფართომასშტაბიანი შეხვედრები არც მაშინ გამართულა,

არც მას შემდეგ. მის ნაცვლად კანდიდატის სამოქმედო გეგმასა და საარჩევნო პროგრამაზე მისი თანაგუნდელები ზრუნავენ. 5 ოქტომბერს დედოფლისწყაროს სოფლებში წინასაარჩევნო შეხვედრები გამართეს ლევან ვარშალომიძემ და მურმან დუმბაძემ. ისინი ძირითადად საზღვრისპირა სოფლების ამომრჩევლებს შეხვდნენ, სადაც აჭარელი ეკომიგრანტები არიან ჩასახლებულნი. სამთაწყაროსა და ფიროსმანში მათ ამომრჩეველთან საუბრისას ხელისუფლების ცვლილების აუცილებლობაზე გამამახვილეს ყურადღება და მოსახლეობას მხარდაჭერისკენ მოუწოდეს.

ამას გარდა, ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის წევრები წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში კარდაკარის პროგრამას აგრძელებენ, რომლის ფარგლებშიც გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო სააგიტაციო მასალას ამომრჩევლებს ურიგებენ.

გრიგოლ ვაშაძე და ოპოზიციური გაერთიანების სხვა ლიდერები დედოფლისწყაროში ელიას მთაზე აგვისტოში იმყოფებოდნენ

„წმინდა ელია თიზბიტელის დღესასწაულს ვულოცავ ყველა მართლმადიდებელს, ქიზიყს, დედოფლისწყაროს და მთლიანად საქართველოს. ამის მადლი შეგვწიოს და ამის მადლით აღმოგვეფხვრას სილარიბე, სიდუხჭირე, გაჭირვება და ემიგრაცია საქართველოდან,“ - განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

# შალვა ნათელაშვილი: „მადლობა ვაჟა-ფშაველას, რომელმაც ამ რეგიონში მთიელები ჩამოასახლა“

„ლეიბორისტული პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი დედოფლისწყაროელებს ელიას მთაზე შეხვდა, ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარი მოილოცა და ადგილობრივებთან ისაუბრა.

„კარგი ამინდი იყო, შევთხოვოთ წმინდა ელიას კარგი ამინდი საქართველოს თავზე. უღრუბლო ცა და ნათელი გზა ქართველი ხალხისთვის. მეექვსე საუკუნეში აშენდა დედოფლისწყაროში ეს ეკლესია და უდიდესი კულტურული საგანძურია ჩვენი ერისთვის. ამას გარდა, ჩვენი ვალია, კიდევ ერთხელ ვუთხრათ მადლობა ვაჟა-ფშაველას, რომელმაც დიდი საქმე გააკეთა და მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოასახლა ამ რეგიონში მთიელები, რომლებიც ქედების ზონაში დააფუძნა,“ – აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

# მირზაანში ნიკალას ბიძაშვილების სახლი აღადგინეს

***მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლმუზეუმის ეზოში მდებარე ფიროსმანაშვილების ბიძაშვილების საცხოვრებელი სახლი მთლიანად აღდგენილია. როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, სრულად შენარჩუნებულია მისი პირველადი სახე.***

პროექტი „ბიძაშვილების სახლის რეაბილიტაცია მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში“ განხორციელდა სააგენტოს მიერ მომზადებული რეაბილიტაციის პროექტის საფუძველზე და მისი თანადაფინანსებით. მსოფლიო ბანკის გრანტი 37 300 ლარია, ხოლო დაახლოებით 15 ათასი ლარი მემკვიდრეობის სააგენტომ გაიღო.

„სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მიმართულება ფასდაუდებელ შრომაშია. დიდი მადლობა მათ, რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია,“ — ამბობს მემკვიდრეობის სააგენტოს უფროსი ნიკა ანთიძე.

„მუზეუმის ეზოში ბიძაშვილების საცხოვრებელი სახლის ნაშთები მოუვლელი იყო, რაც ტურისტების, თუ სტუმრების ჩამოსვლის დროს ამ უნიკალურ გარემოში გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა. მით უფრო, რომ ეზოში შესვლისთანავე ეს შენობა მდებარეობს და პირველ შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც გადაწყდა, მისი რეაბილიტაცია მომხდარიყო. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, კახეთში მოქმედი არასამთავრო ორგანიზაცია „ვეჯინი“-ს და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადდა ერთობლივი განაცხადი ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, რომელიც გულისხმობდა მუზეუმის ტერიტორიაზე სოფელ მირზაანში, ფიროსმანის ნათესავების (ბიძაშვილების) სახლის რეაბილიტაციას. 2016 წელს შენობას ჩაუტარდა მხოლოდ კონსტრუქციული გამაგრების სამუშაოები,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ მემკვიდრეობის სააგენტოს სამუზეუმო გაერთიანებებისა და მუზეუმ-ნაკრძალების განყოფილების უფროსმა, ირმა დოლიძემ.

ამას გარდა, ეზოში შესასვლელ კართან კიდევ ერთი პროექტის განხორციელება იგეგმება. ახალი პროექტიც ირმა დოლიძის ორგანიზებულია. პროექტმა ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში უკვე გაიმარჯვა. ამ შემთხვევაში 144 000 ლარს ევროკავშირი დააფინანსებს, ხოლო 16 000 ლარს მემკვიდრეობის სააგენტო.

„შესასვლელის შენობა მრავალფუნქციურია და მასში განთავსებულია ბილეთების სალარო, მცირე ზომის სავაჭრო ობიექტი და საპირფარეშოები ვიზიტორებისთვის. შენობის გვერდით მოწყობილი იქნება ტურნიკეტების ნაკვეთურები ვიზიტორთა გასატარებლად და ტერიტორიაზე შესასვლელი ჭიშკარი ავტოტრანსპორტისთვის. ამ სერვისებს დღეს არ გააჩნია სპეციალურად განკუთვნილი სივრცე და მიმოფანტულია სამუზეუმო კომპლექსში შემავალ სხვადასხვა შენობებში, რაც მოუხერხებელი და რთულად საორიენტაციოა დამთვალიერებელისთვის,“ — ამბობს დოლიძე.

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი HEKS/EPER-ის პროექტის, „მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისთვის“ საგრანტო განაცხადების ორ ეტაპიანი განხილვისა და ტექნიკური შეფასების შედეგად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, პირველი საგრანტო კონკურსის 32 გამარჯვებული გამოვლინდა და შესაბამის საგრანტო ხელშეკრულებებს ხელი მოეწერა. საგრანტო კონკურსის ფარგლებში სულ 70 განაცხადი შევიდა კერძო თუ იურიდიული პირების მხრიდან.

გამარჯვებული პროექტებიდან ტურიზმის განვითარებაზე გაიცა — 7 გრანტი; სოფლის მეურნეობის განვითარებაზე — 5; სოციალური და საგანმანათლებლო სფეროს განვითარებაზე — 6 გრანტი; კულტურული სფეროს განვითარებაზე — 1, ხოლო დივერსიფიცირებული ბიზნესის განვითარებაზე — 13 გრანტი.

ევროკავშირის თანადგომით **ENPARD**-ის II ფაზის ფარგლებში მიმდინარე პროექტს „მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური გავითარებისთვის (PROCEED)“ ახორციელებს **HEKS/EPER** საქართველო ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“ თანამშრომლობით. პროექტის მიზანია სიღარიბის შემცირება და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

ილია მარტყოფლიშვილი

# საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე

ფრანკფურტი საქართველომ მოიცვა: ქართულმა ლიტერატურამ, ქართულმა წიგნმა, ქართულმა კულტურამ. 9 ოქტომბერს ოფიციალურად გაიხსნა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს - საპატიო სტუმარი ქვეყნის - პავილიონი. საქართველო მსოფლიოს ქართულ პროგრამას წარუდგენს კონცეფციით - **Georgia Made by Characters** (“ანბანით მოთხრობილი საქართველო”), რომელიც, ერთი მხრივ, უნიკალურ ქართულ ანბანსა და უნიკალურ დამწერლობას, მეორე მხრივ კი, ქართულ ხასიათსა და პერსონაჟებს ეფუძნება. ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ანბანის, 33 ასოს შესახებ ფრანკფურტში შეკრებილ აუდიტორიას მწერალმა აკა მორჩილაძემ 10 წუთში უამბო:

„არსებობს დავიწყებული კულტურები, ასევე კულტურები, რომლებიც მკვდარია, მაგრამ ცხოვრობენ უნივერსიტეტებში, მეცნიერების მოწადინებით. არსებობს დიადი კულტურები, რომლებიც აღარც, სჭირდება ვინმეს, რადგან ძალიან მაღალი სტანდარტი აქვთ და მათთან მიუწვდომლობის აშკარა სურათი უხერხულობას ქმნის. მრავალ ასეთ სიკვდილ-სიცოცხლესა და სიიოლე-სირთულეში არსებობენ ძველი, დღევანდელი სამყაროსთვის ან სრულიად უცნობი, ან ერთეულ მოყვარეთათვის ნაცნობი კულტურები, რომლებიც არ მომკვდარან და, რაღაც მაღალი საოცრებების წყალობით, მოვიდნენ 21-ე საუკუნემდე. ბედნიერებაა, რომ სწორედ ასეთ კულტურას წარმოადგენ და ამაზე ორი სიტყვის თქმა შეგიძლია... ეგებ რაღაც შორეული უცნობი კულტურა ვინმესთვის არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ქართველებს ასეთი სიტყვა გვაქვს „რაღაცას“ ვეძახით ბევრ რამეს და ეს მარტო „რაღაც“ არ არის ჩვენთვის, არამედ სიცოცხლესაც ნიშნავს. აი, ასეთ სრულიად უცნობ, უმეტესად პოლიტიკურად გაგებულ საქართველოს ისტორიაში ყოფილა უგრძესი პერიოდები, საუკუნოვანი დროები, როცა ამ ქვეყნის არსებობა-არარსებობას სწორედ მისი კულტურა განსაზღვრავდა. ჩემი, როგორც ქართველის ჭკუით, ძალიან ჯიუტი, უცნაური, ჰუმანისტური, მრავალგზის დამახინჯებული, მაგრამ კულტურა გვაქვს, ამას ვეძახით ჩვენ ქართულ კულტურას. ასეთი ისტორიაა საერთოდ. ძველი, სისხლით და სიმძიმით სავსე. თავის შენახვის და გადარჩენის ამბავია ჩვენი ამბავი საერთოდ. ამ ამბის სიკეთე, სხვა არამატერიალურ რაღაცებთან ერთად, იყო სწორედ ჩვენი კულტურა. მოკლედ რომ ვთქვა, დრამით რომ არ დაგღალოთ, (არ არის აქ ამის ადგილი), დღეს აქ არის ქართული ლიტერატურა, რომელიც, როგორც იცით, ძალიან ძველია, მრავალი საუკუნის. ჩვენ ვამბობთ - 1500 წლის, ვიღაც მეცნიერები ამბობენ, 2000-ის, 2500-ის... ჩვენ ამ საუკუნეებში ასე ვოპერირებთ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ეს საუკუნეები არ არის პატარა დრო იმისთვის, რომ იმსჯელო რა არის ღირებული და რა არა. როგორც ყველა ლიტერატურა, ქართული ლიტერატურაც ადამიანების გარშემო ტრიალებს.

აი, ის ჩვენი პირველი მოთხრობა, რომელშიც მეხუთე საუკუნის ამბავია აღწერილი, (ჩვენ უფრო გვიანდელი ხელნაწერიც გვაქვს) ძალიან გასაგები და სამსჯელო იქნებოდა სამყაროში მაშინაც და ახლაც, სკოლაში ისწავლება ჩვენთან, იმ ენით, რომლითაც დაწერილია მეხუთე საუკუნეში. ეს არის მოთხრობა ქალზე და კაცზე, ოჯახზე, ერთგულებაზე, პოლიტიკაზე, ღმერთზე, რწმენაზე, პატიოსნებაზე, ათას რამეზე. ეს ყველაფერი ისეა აღწერილი, რომ იოლად მიხვდები, ადამიანის გულში და სულში ეს თხუთმეტი საუკუნეა არაფერი დიდად არ შეცვლილა. თქვენ იცით, რომ ჩვენი კულტურის მეორე ნაწილი არის ანბანი, რომელზეც ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, ამით ვწერდით წიგნებს ქართველები. ფუფუნებაა, ასეთი რაღაც რომ გაქვს ადამიანს. თქვენ უყურებთ გაოცებული და ჩვენ ვკითხულობთ. ამ დროს ჩვენ თქვენსას იოლად ვკითხულობთ, ეს უპირატესობა გვაქვს დამალული. საუკუნეების მანძილზე ჩვენ ძალიან ბევრს ვთარგმნიდით, განსაკუთრებით აღმოსავლური ენებიდან, სანამ შეგვეძლო, სანამ მშვიდობა იყო. ჩვენ არ გვთარგმნიდა არავინ. ჩვენ ვკითხულობდით ყველაფერს და თქვენ - არაფერს ჩვენსას. წარმოიდგინეთ ესეც რამხელა უპირატესობაა.

ჩვენ ვწერთ პროზას, ისტორიასაც ვწერთ, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ საქართველო არის პოეზიის ქვეყანა. აქ პროზაიკოსი რომ გამომიყვანეს, ვარ უხერხულ მდგომარეობაში. მე არ ვარ პირველი კატეგორიის ადამიანი ამ ხელობაში, რასაც მწერლობა ჰქვია. ჩვენი ქვეყანა არის პოეზიის. ხუმრობაა ძველ წიგნებში დარჩენილი, რომ რომანის წერას უნდა დრო, მაგიდა, ქაღალდი... ამ დროს ომია, უბედურებაა და ლექსი იწერება მუხლზე დადებულ ქაღალდზე, უცბად. აი, ეს შეგინახეთ. უნდა გითხრათ, რომ ჩვენთან ისტორიულ ქრონიკებსაც ლექსად წერდნენ. რომანებსაც წერდნენ ლექსად, სახელმწიფო ქაღალდები გვაქვს ჩვენ ლექსად დაწერილი. ხეებზე, ცხვირსახოცებზე, სასმისებზე, მერხებზე, ეს არის უცნაური ტრადიცია, რომელიც ახლა რომ გითხრათ, მეტ შრომას მოითხოვს, ვიდრე პროზის წერა, პროზა ისეთია - დაჯექი და ცოტა მოცლილი ადამიანის საქმეა. ნუ, სტანდარტი ასეთია, პოეზია მაღალია. პოეზიით ცხოვრება ვიცით რაცაა - კიდევ უფრო მაღალია. სულ ბოლო დრომდე პოეტი ისეთი ფიგურა იყო საქართველოში, რომელიც ადამიანს საკუთარი არსებობის სიხარულსა და განუმეორებლობაში არწმუნებდა. არწმუნებდა იმაში, რომ მისი ფიქრი მართალი, წრფელი ფიქრია და ხელოვნება დიადი რამეა. შენ იცოდი, რომ თვითონ არ შეგიძლია და არსებობს ადამიანი, რომელიც შენს ნაცვლად შენს ფიქრებს გამოხატავს. გადმოსცემს, გამოიცნობს, და ამას მეტი სისრულით და ოსტატობით აკეთებს. პოეტი ისეთი ვინმე იყო ქვეყანაში, რომ 20 საუკუნოვანი ლამის აბსოლუტური მონარქიის ტრადიცია აქვს ამ ქვეყანას და გვყავს ბევრი მეფე, რომელთა საუკეთესო მიღწევაც არის მათი პოეზია.

საქართველოს გაცნობა, რა თქმა უნდა, შეიძლება იქ მოგზაურობით, მაგრამ მაინც ჯობს ქართულმა ლიტერატურამ მოგახსენოთ თავისი ძველი და უცვლელი სათქმელი, იმის თაობაზე, რომ სიყვარული, მეგობრობა, სირთულეები, სიკვდილი და სიცოცხლე, ომი და მშვიდობა, იუმორი და ტრაგედია ისევე არის ჩვენი ცხოვრების ნაწილი, როგორც თქვენი და ამაზე ლაპარაკი და თხრობა ისე შეგვიძლია, როგორც ბევრს არავის დედამიწის ზურგზე. ამის მრავალსაუკუნოვანი, სამყაროსთვის უცნობი ტრადიცია გვაქვს. ჩვენი ლიტერატურა ჩვენი აღსარებაცაა, ჩვენი ოცნებაცაა და ა.შ.

ახლა ასე ლამაზადაც არაა ყველაფერი. რადგან აქ ვართ დღეს, უნდა გითხრათ, რომ პოეტები და მწერლები ყოველთვის უპირატესი და საყვარელი გმირები იყვნენ საქართველოში. ყოველთვის იყვნენ, როგორც დღეს ამბობენ ხოლმე, ცნობადი სახეები. მაგრამ ამას მათთვის არც ყოფითი ნუგეში მოუტანია, და ამ ხელობას არასოდეს არ დაუცავს ძნელბედობისგან. როგორც სამოცდაათი ან ორასი წლის წინათ, დღესაც ქართველი მწერალი შეიძლება გადაყვეს თავის ნაწერს. ან აქაც არაშემოქმედებითი გამოსავალი ეძიოს, ან უცხოეთს შეაფაროს თავი, შეიძლება მუშტიც მოხვდეს, შეიძლება ქუდიც ჩამოიფხატოს, რომ საზოგადოების გულისწყრომას მოერიდოს. აი, ამ დიდი ისტორიული, როგორ გითხრათ, დამანგრეველი თუ აღმაშენებელი ქარტეხილების მიუხედავად, მწერალი მაინც რჩება საქართველოში გამორჩეულ ფიგურად, ეს ისეთი ადამიანია, რომელიც ყოველთვის იქ არის, სადაც ყველა არასდროს არ არის და ამავდროულად იქ არის, სადაც ყველა ყოველთვის მიიყრის თავს. ეს არის ჩვენი, ქართველი მწერლების ამბავი“.

პავილიონის გახსნის ცერემონიალის ერთ-ერთი მთავარი სიტყვა ერგო გერმანულენოვან, წარმოშობით ქართველ ავტორს ნინო ხარატიშვილს. სწრაფვა ევროპისკენ, საზღვრების რღვევა, მცოცავი ოკუპაცია - მისი სიტყვა კარგად აღწერს თანამედროვე ქართულ ყოფას, ლიტერატურის მნიშვნელობას, რომელიც ხშირად იმ პოლიტიკურ თუ სოციალურ რეალობაშია გადაჯაჭვული, რომელშიც გვიწევს ცხოვრება:

„მე გერმანულად ვწერ, იმიტომ, რომ მიყვარს ეს ენა და მჯერა, რომ ქართული ამბების მოყოლა გერმანულად უფრო ზუსტად შეიძლია. ამას ვაკეთებ იმიტომ, რომ მე მომცეს საშუალება, მესწავლა ეს ენა და გავხდი ამ კულტურის ნაწილი. ამ ყველაფერზე ლიტერატურამ ძალიან დიდი გავლენა იქონია. წიგნები, რომლებსაც მე ვკითხულობდი, არ იყო ჩემთვის უცხო. კითხვის დროს მე ვიყავი ამ კულტურის ნაწილი. კი, მე მჯერა, რომ ლიტერატურა არ არის საზღვრებში მოქცეული. ჩვენ სხვა ადამიანის ცხოვრება შეგვიძლია ვიგრძნოთ. ჩვენ შეგვიძლია, წიგნებში საკუთარი თავი თავიდან აღმოვაჩინოთ. ადამიანის უნარი იყოს ემპათიური, ძალიან მნიშვნელოვანია. წიგნებს კი შეუძლიათ ამ ემპათიის გაღვიძება ადამიანებში.

მე რომ წერა დავიწყე, ვიყავი ქართველი ავტორი, მერე გავხდი გერმანელ-ქართველი ავტორი და ბოლოს - გერმანელი ავტორი. უცნაურია, მაგრამ წიგნი, რომელიც გერმანულად დავწერე, 1300 გვერდის განმავლობაში საქართველოს შესახებ ჰყვებოდა... საქართველო, უკანასკნელი 27 წლის განმავლობაში, ცდილობს ბრძოლით დაიბრუნოს თავისი იდენტობა, რომელიც მას ანტიკური ხანიდან მოსდგამს და რომელსაც საუკუნეების მანძილზე ყველა დამპყრობლისგან იცავდა. მაგრამ საქართველოში ბევრს ავიწყდება, რომ ეს იდენტობა არ წარმოადგენს ვიწრო ჩარჩოებში მყოფ უცვლელ ფორმას, ავიწყდებათ, რომ დრო და ვითარება იცვლება. რომ კულტურის სიმდიდრე იქიდან წარმოიშვა, რომ ის გამტარუნარიანი იყო და გაბედული. ის მზად იყო, გადაეღო და აეთვისებინა უცხო კულტურაც...

საქართველოს ძალიან ბევრი ისტორია აქვს მოსაყოლი. ეს ისტორიები ტრაგიკულიცაა, ალბათ, საშინელიც, ეს არის დაპყრობის ისტორიები, სიკვდილის ისტორიები, გადარჩენის ისტორიები, ომის და დაკარგვის ისტორიები, მწუხარების და უპერსპექტივობის ისტორია და ამასთანავე, იმედისა და შესანიშნავი ადამიანების ისტორია. ამიტომ, მინდა, დავასრულო ჩემი სიტყვა ასეთი ისტორიით: საქართველო-რუსეთის ე.წ. საზღვარზე, ცხინვალის რეგიონში, რომელიც საქართველოს შემადგენელი ნაწილია, მაგრამ კონტროლდება რუსეთის მიერ, რუსული მავთულხლართები ყოველ კვირას ავიწროებს საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას, ცხოვრობს კაცი, რომელმაც ერთ დღეს გაიღვიძა საკუთარ სახლში და აღმოჩნდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. აი, ამ ადამიანის ისტორიამ, რომელმაც უცებ გაიღვიძა მტრის ტერიტორიაზე, არ დატოვა სახლი, არ დატოვა შვილის საფლავი, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე წარმოვიდგინე ეს გლეხი, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ იცოდა რომ ის ვერ მოიგებდა ამ ომს, მაინც გადაწყვიტა ბრძოლა. მე წარმოვიდგინე ადამიანი, რომელსაც წვიმამ და ქარმა დაატყო თავისი კვალი, რომელიც დგას რუსი ჯარისკაცის წინაშე და რომელიც ცდილობს, რომ მას აუხსნას, რატომ არ შეუძლია იმ მიწიდან წასვლა, სადაც მისი შვილია დასაფლავებული. ის ამას მშვიდად აკეთებს. ყოველთვის იმეორებს თავის სათქმელს. ის არ აღიარებს ამ საზღვარს. და ის აჩვენებს, რომ ეს საზღვარი სინამდვილეში სასაცილოა და ჯარისკაციც ერთ მშვენიერ დღეს ნებდება. შეიძლება ის ფიქრობს, რომ ჯანდაბას, დარჩეს ეს შეშლილი მოხუცი აქ, მაგრამ, ალბათ, იმასაც ვერ ხვდება, რომ ამავე დროს, მისმა ავტომატმა დაკარგა ძალა. მე არ ვიცი, მართალია თუ არა ჩემი წარმოდგენილი ამბავი... იმედი მაქვს, რომ აქ, ფრანკფურტში, ძალიან ბევრი ამბები საქართველოდან გადალახავენ საზღვარს“.

# პლასტიკის პარკები თუ პლანეტა დედამიწა?!

***„ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება ბუნებას, ეწინააღმდეგება გონებას და ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება გონებას არის აბსურდი“***

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ პლასტმასის პროდუქცია, დღესდღეობით, ყველგან გვხდება. ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ მას სახლში, სკოლაში, ოფისებში, მოგზაურობის დროს. თანამედროვე საზოგადოება იმდენად დამოკიდებული გახდა პლასტიკის პროდუქციაზე, (ერთჯერადი ჩანთები, ბოთლები, პარკები) რომ გასაოცრადაც კი გვეჩვენება პლასტიკისაგან თავისუფალი სამყარო. მხოლოდ ერთი თაობის განმავლობაში იმდენად შეიცვალა დამოკიდებულება პლასტიკის მიმართ, რომ ამან გარემოსდაცვითი პრობლემები შექმნა: ნაგავსაყრელები, მიწისქვეშა დაბინძურება, ნარჩენები ოკეანეში და ა.შ.




პლასტიკის პარკების მოხმარება გლობალური მასშტაბის პრობლემაა. არამარტო საქართველოში, მთელს მსოფლიოში გაზრდილია მისი დამზადებისთვის საჭირო შესაფუთი მასალის გამოყენება და შემდეგ რეალიზაცია. შეიძლება დაუჯერებლად და ამავდროულად წარმოუდგენლადაც კი ჟღერს, მაგრამ მსოფლიოში დღევანდელი მონაცემებით წამის განმავლობაში ორ მილიონზე მეტი პოლიეთილენის პარკი იყრება. ამ ქმედების შედეგად არამარტო ეკოსისტემებს, არამედ ნიადაგსაც ექმნება საფრთხე, რადგან სრული 100 წელია საჭირო იმისთვის, რომ პოლიეთილენის ხრწნა დასრულდეს, ნიადაგი კი სრულფასოვნად განვითარდეს. ამის მიზეზი კი მისი ქიმიური შემადგენლობაა, რომელიც არ ექვემდებარება ბიოლოგიურ დეგრადაციას, ერთჯერადად მოხმარების შემდეგ უკვე ნარჩენად გადაიქცევა და დიდ ზიანს აყენებს გარემოს. ისეთი „უწყინარი“ მეურნეობის დარგიც კი, როგორიც მეთევზეობაა, ერთ-ერთ საშიშ საქმიანობას წარმოადგენს წყალქვეშა სისტემებისთვის. თევზაობის შედეგად ხდება ბადეების, ხაფანგების, ტივტივების წყალში დატოვება, რასაც შეუძლია ზღვის ბინადრების სიცოცხლე შეიწიროს. ზემოთ ხსენებულ საშუალებებს, ზღვის მარჯნების დახრჩობაც კი შეუძლიათ. **National Geografic**-ის თანახმად, ყოველწლიურად ოკეანეში ასიათასობით თევსაჭერია დარჩენილი.

„შირაქის“ მკითხველს დაებადება კითხვა, რის არის პლასტიკისა და ოქსოდეგრადირებული პარკები და რით უნდა ჩავანაცვლოთ ისინი გარემოს უსაფრთხოებისთვის ?

ჩვეულებრივი დასაფასოებელი პაკეტი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1957 წელს სენდვიჩების, პურის , ბოსტნეულისა და ხილის შესაფუთად შეიქმნა. 1966 წლისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ამგვარ პაკეტებში დაფასოებული იყო პურფუნთუშეული პროდუქტების დაახლოებით 30%. 1973 წლისთვის პაკეტების წარმოებამ დასავლეთ ევროპაში 11,5 მილიონი ცალი შეადგინა. 1982 წელს სავაჭრო ცენტრებში გაყიდვაში ჩნდება ხელსაკიდიანი პოლიეთილენის პაკეტები (ე.წ „მაისურები“). 2002 წლისთვის მსოფლიოში პოლიეთილენის პაკეტების წარმოების საერთო მოცულობამ თითქმის 5 ტრილიონ ცალს მიაღწია.

პლასტიკის პარკი დამზადებულია თხელი პოლიეთილენის აპკისგან. გამოიყენება ძირითადად საკვები პროდუქტების, ფხვნილების, ქიმიკატების, ნაგვის და სხვა სახის პროდუქტის ტრანსპორტირებისთვის. მათი უმრავლესობა სიმხურვალით არის შეკრული, ზოგიერთი კი - წებოვანი ნივთიერებით. საქართველოს მთავრობის დადგენილება №472-ში, რომელიც ეხება ტექნიკური რეგლამენტის, პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესს, ოქსოდეგრადირებული პლასტიკის პარკი განმარტებულია, როგორც პლასტიკის მასალისგან დამზადებული პარკი, რომელიც შეიცავს დანამატებს. დანამატები ის ქიმიური ნივთიერებებია, რომელიც პლასტიკის პარკებს მეტი სიძლიერისთვის, მდგრადობისა თუ მოქნილობისთვის ემატებათ. ეს დანამატები ხელს უწყობენ პლასტიკის მასალის მიკროფრაგმენტებად დაშლას. ამავე დადგენილების მიხედვით, ბიოდეგრადირებული და კომპოსტირებადია პარკი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ბიოლოგიური, განახლებადი ნედლეულის საფუძველზეა წარმოებული, ექვემდებარება ბიოდეგრადაციას და კომპოსტირებას. ამასთანავე აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს და აქვს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ, ახალი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დაბინძურების შემცირებას და ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ინიციატივების წახალისებას, 2018 წლის 14 სექტემბერს მიიღო რეგულაცია, პლასტიკისა და ბიოდეგრადირებული პარკების რეგულირების წესის შესახებ (რაც ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ), რომლის მიხედვითაც:

1.2018 წლის 1 ოქტომბრიდან იკრძალება 15 მიკრონზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკის წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია. ასევე იკრძალება ოქსოდეგრადირებადი პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

2.2019 წლის პირველი აპირლიდან კი აიკრძალება ნებისმიერი სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია. დაშვებული იქნება ნებისმიერი სისქის მხოლოდ ბიოდეგრადირებული და კომპოსტირებადი პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

დადგენილების მიხედვით, პლასტიკის პარკზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი სავალდებულო ინფორმაცია:

ა) პლასტიკის პარკის მწარმოებელი; ბ) პლასტიკის პარკის სისქე; გ) პლასტიკის პარკის შემადგენლობა;

წარწერა „ბიოდეგრადირებული და კოპმოსტირებადი პარკი“ პარკზე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შესაბამისობის შეფასება განხორციელებულია უფლებამოსილი შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ და პარკი შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს. ინფორმაცია პარკზე უნდა განთავსდეს გამოსაჩენ ადგილას, ხედვის ერთ არეალში, დაუშვებელია ინფორმაციის გადაფარვა სხვა წარწერით ან ნახატით. გარდა ამისა, პარკზე განთავსებული ინფორმაცია მომხმარებლებისთვის უნდა იყოს ადვილად წასაკითხი და გასაგები. ნიშანდებამ და აღწერილობამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი. დადგენილების მიხედვით, პარკზე შეიძლება დანატილ იქნეს სხვა სახის ინფორმაციაც, თუ იგი არ შეამცირებს სავალდებულოდ განსათავსებელი ინფორმაციის აღქმადობას. რეგულირების წესი შეეხება იმ პირებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე პლასტიკის პარკების, ოქსოდეგრადირებული პლასტიკის პარკების, ბიოდეგრადირებული და კომპოსტირებადი პარკების წარმოებას, იმპორტს ან რეალიზაციას ეწევიან.

ევროკავშირი 2019 წლისთვის პლასტიკის პარკების 80%-ით შემცირებას მოითხოვს. ეს ნიშნავს, რომ ევროპის ყველა ქვეყანა განიხილავს პლასტიკის პროდუქციის შემცირების გზებს. საქართველოში ეს პროცესი, როგორც ვხედავთ, უკვე დაწყებულია და უკვე აქტიურადაც განიხილება მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე დასახელებულია სანქციების ჩამონათვალიც, რომელსაც დააკისრებენ მწარმოებლებს აკრძალვის შეუსრულებლობის შემთხვევაში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის გამო მეწარმე-სუბიექტი 500 ლარითა და შესაბამისი პროდუქტის კონფისკაციით დაჯარიმდება, განმეორების შემთხვევაში კი - 1000 ლარით, ამ შემთხვევაშიც, შესაბამისი პროდუქტის კონფისკაციით. დადგენილების მიხედვით, დარღვევების შემთხვევაში შესაბამისობის კონტროლი მოხდება შემდეგი კომპეტენციების მქონე სამინისტროების მიერ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტი - პარკებისას წარმოებისას;

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - პარკების იმპორტისას;

3. ადმინისტრაციული თვითმმართველობის ორგანო - პარკების რეალიზაციისას;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ფეისბუქ გვერდის ინფორმაციით, ახალი რეგულაციების ამოქმედების საკითხზე ბიზნესომბუდსმენისა და დისტრიბუტორთა ასოციაციაში გაწევრიანებული კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს. შეხვედრაზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ რეგულაციის მიზანი პლასტიკის პარკების მოხმარებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გამოწვეული მავნე ზემოქმედების შემცირებაა: „ ეს არის კომპლექსური კამპანია, კომპლექსური ღონისძიებებით. დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ჩვენ გვქონდა ინტენსიური კომუნიკაცია, როგორც მწარმოებლებთან, ასევე საცალო ქსელების წარმომადგენლებთან. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეგულაციის მიღებით მაქსიმალურად ეფექტიანი შედეგი მივიღოთ“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილებებს დადებითი შედეგის მოტანა ნამდვილად შეუძლია, ბიზნეს სექტორი შესაძლო პრობლემებზე მედია საშუალება on.ge-სთან საუბრობს. მწარმოებლები, არ არიან მზად გადაიარაღებისთვისა თუ ადაპტირებისთვის. პოლიეთილენის პარკები რომ ბიო პარკებით ჩანაცვლდეს, ამისთვის ისინი დროს და უკვე ნაწარმოები პროდუქციის რეალიზაციის უფლებას ითხოვენ. მათი თქმით, თუ ნაშთს ვერ გაყიდიან, ახალსაც ვერაფერს შექმნიან.

დღესდღეობით, 5 ტრილიონზე მეტი პლასტიკის ნაჭერია გაბნეული ჩვენს ოკეანეებში. თანაც, მთელი მსოფლიოს პლაჟების ნარჩენების 73% პლასტიკისგანაა: პლასტმასის ბოთლები, პარკები, ბოთლის სახურავები, საკვების შეფუთვები, სასურსათო ჩანთები და პოლიტერინენული კონტეინერები. მთელს მსოფლიოში წუთში თითქმის მილიონი პლასტიკის ბოთლი იყიდება. ამის შედეგად კი 2015 წლისთვის 6.9 მილიარდი ტონა ნარჩენები წარმოიქმნა, აქედან დაახლოებით 9% რეციკლირებული იყო, 12% დაიშალა, ხოლო 79% კი ნაგავსაყრელებსა და გარემოში დაგროვდა. (**National Geografic**-ის მონაცემები). უახლოეს მომავალში, თუკი თქვენ მაღაზიაში შესვლისას ცელოფნის პარკს მოგცემენ, არ გაოცდეთ. ის დამზადდება არა პოლიეთილენისგან, არამედ ბიოდეგრადირებული მასალისგან და ნაკლები საფრთხის შემცველი იქნება გარემოსთვის. ამის შემდეგ, ზემოთ მოყვანილი მონაცემების გაცნობისას, უფრო მარტივი იქნება კითხვაზე პასუხი: პლასტიკის პარკები თუ ჩვენი პლანეტა დედამიწა?

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

# კულტურული მემკვიდრეობის ევროპული დღეები მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

29 სექტემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის ევროპული დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: 1. ინტელექტუალური კონკურსი (პედაგოგი თამარ აბულაძე) 2. ესეების და ჩანახატების კონკურსი (პედაგოგი ნინო სიფრაშვილი) 3. კონფერენცია თემაზე „ქართულ-ევროპული კულტურული მემკვიდრეობა“ 4. ტრადიციული ხელსაქმის წრის მოსწავლეთა ნამნუშევრების გამოფენა „ ქსოვაში გაცოცხლებული ხელოვნება“ (პედაგოგები ლიკა ნატროშვილი, ნანა ახალაშვილი)

ღონისძიება გახსნა მოსწავლე ახალაგზრდობის სახლის დირექტორმა თამარ ლაპიაშვილმა. იგი მიესალმა სტუმრებს და მოკლედ ისაუბრა ქართულ-ევროპულ ურთიერთობებზე. აღნიშნა, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა და ოდითგანვე ჰქონდა კავშირი ევროპის ქვეყნებთან, ეცნობოდე სხვა ქვეყნების კულტურას და აცნობდე საკუთარ ტრადიციებს ეს კარგია და აუცილებელიც, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს საკუთარი ტრადიციების უარყოფის ხარჯზე, ვისწავლოთ და სხვებსაც ვასწავლოთ, მაგრამ ქართველები დავრჩეთ ქართველებად, გავუფრთხილდეთ ყველაფერს ქართულს. ქალბატონმა ნანული ნატროშვილმა ისაუბრა ევრიპული, კერძოდ, ესპანური კულტურის და ადათწესების შესახებ, ქართულთან მათ მსგავსებასა და განსხვავებაზე.

ინტელექტუალურ კონკურსში მონაწილეობდნენ: №1, №2, სამრეკლოს, წმ.ვახტანგ გორგასალის სახელობის და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოწავლეები. კითხვები ეხებოდა ქართველი და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. I ადგილი დაისაკუთრა მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ სეხნიაშვილმა, II ადგილი წილად ხვდათ საპატრიარქოს სკოლის მოსწავლეებს ლიკა ტოკლიკიშვილს და თინათინ ნიკოლაიშვილს, მესამე ადგილი კი მიიღო საპატრიარქოს სკოლის მოსწავლემ გიორგი ნატროშვილმა. გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები, დანარჩენ მონაწილეებს კი მადლობის ფურცლები.

წარმოდგენილი იყო ესეები და ჩანახატები- გზა ევროპისკენ, ფიქრები ევროპაზე და ა.შ.

სიგელებით დაჯილდოვდნენ საუკეთესო ესეების ავტორები: ოზაანის სკოლის მოსწავლე სალომე თარაშვილი, დედოფლისწყაროს №2 სკოლის მოსწავლე მარიამ სეხნიაშვილი, სამრეკლოს სკოლის მოსწავლე თინათინ აჩელაშვილი, წმ.მეფე გორგასლის სახ. სკოლის მოსწავლეები ლიკა ტოკლიკიშვილი და თინათინ ნიკოლაიშვილი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგმა ნინო მეხრიშვილმა წარმოადგინა თემა ევროპული კულტურის გავლენის შესახებ „ევროპელი მოგზაურები და მეცნიერები „ქიზიყში“

კონფერენცია განსაკუთრებით გაალამაზეს მოსწაველ-ახალგაზრდობის სახლის ყოფილმა მოსწავლეებმა, უკვე წარმატებულმა სტუდენტებმა რომლებიც სწავლობენ და მოგზაურობენ ევროპაში, ეწევიან ქართული კულტურის პოპულარიზაციას და ეცნობიან ევროპულს. მათ გამოგვიგზავნეს წერილები „ევროპული შთაბეჭდილებები“. ამისათვის მადლობა ზურა ალხანიშვილს, ქეთი ჩაფიაშვილს ვაჟიკო ყოჩიაშვილს და შემდგომი წარმატებები მათ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებმა გააცნეს ევროპელი მოგზაურების შეხედულებები საქართველოზე. ტრადიციული წრის პედაგოგებმა ისაუბრეს ბავშვთა ნამუშევრებზე, ფერებისა თუ სახეების შესახებ.

ღონისძიებები იყო საინტერესო და ნაყოფიერი მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

100

# ახალი შირაქი

25 ნოემბერი, სამშაბათი, 1969 წ ელ ი, №137 (8.211)

ფასი 2 კაპიკი.

საქართველოს კპ ფითილწყაროს რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო.

АХАЛИ ШИРАКИ—Орган Цителцкаройского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся.

**გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.**

## 1959 WLIS OQTOMBERI

● ARBOSIKIS KOLMEURNEOBIS MEMINDVREOBIS BRIGADEBMA SAXELMWIFOS CAABARES MESAME GAMOKVEBIS ABRESUMIS PARKI. A. OTARASVILIS XELMZRVANELOBIT MOMVLELEBMA I. JAMALASVILISA DA D. KOTASVILIS KARGI MUSAOBIT, 19 GRAMI MURIDAN MIIRES 51 KG PARKI, GEGMIURI 25 KILOGRAMIS NACVLAD. XOLO, I. BIKASVILIS BRIGADASI MEABRESUMEEBMA N. GONASVILMA DA M. CUXTIASVILMA MIIRES 62 KG. MESAMED GAMOYVANIL ABRESUMIS PARKS AM DREEBSI CAABAREBEN AGRETVE WITELWYAROS, ZEMO QEDIS DA QVEMO QEDIS KOLMEURNEOBEBI.

● WINA TVEEBSI CVENI GAZETI MKACRAD AKRITIKEBDA WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAS IMAZE, ROM PURIS SACXOBI UXARISXO GAMOMCXVAR PURS USVEBS, RISTVISAC MOSAXLEOBA KANONIER UKMAYOFILEBAS GAMOTQVAMS. RAMDENIME FELETONI DAIBEWDA, PASUXAD KI RAIKOOPKAVSIRIS GAMGEOBIS TAVMJDOMARE AMXANAGI LORTQIFANIZE GVATYOBINEBS, ROM GAMGEOBIS SXDOMAM GAZETSI MOYVANILI FAQTEBI DADASTUREBULAD SCNO DA SACXOBIS GAMGES S. ROBITASVILS AUKRZALA PURIS GAMOCXOBA FORMEBSI. MATVE DAEVALAT AXALI, KVALIFICIURI KADREBI AMUSAON SACXOBSI DA ARAR DAUSVAN UXARISXO PURIS REALIZACIA AGRETVE MIIRES ZOMEBI, PURIS SACXOBISBINIS REMONTIS CATAREBISTVIS.

● ZEMO MACXAANIS SAKOLMEURNEO KULTSAXLTAN ARSEBULI LITERATURISA DA WADRAKIS WREEBI ERTGVAR MUSAOBAS ATAREBEN, XOLO SUSTAD MUSAOBS FIZKULTURIS SEQCIA. MISTVIS GAMOYOFILIA FARTO DA SESAFERISI OTAXI, MAGRAM IQ ARAFERI KETDEBA DA OTAXI MARTO INVENTARIS SAWYOBAD GADAQCEULA. KLUBSI SISTEMATIURAD UCVENEBEN FILMEBS, MAGRAM AM SAQMESIO SEVAMCNIET NAKLOVANEBEBI. BILETEBIS SALAROSTAN XSIRADAA AURZAURI, ADGILI AQVS LENTEBIS GAWYVETAS, SEANSEBDROS KI DARBAZSI XMAURIA. MACXAANELEBS XSIRAD AR UCVENEBEN FILMEBMOYOLIL JURNALEBS. DAUYOVNEBLIVSAWIROA KULTSAXLIS XELMZRVANELOBAAMOQMEDOS WREEBI DA DAAMYAROS WESRIGI KINOSEANSEBIS MSVLELOBIS DROS.

● ZAMTARI GVIAXLOVDEBA DA SAXANZRO RAZMMA WITELWYAROSI RUMELEBIS GAMARTULOBIS SAQME GAMOIKVLIA. SEMOWMEBAM GVICVENA, ROM BEVRGAN INDIVIDUALUR BINEBSI DA SAERTO SACXOVREBLEBSI UKVE EQSPLOATACIASIA SESULI DROEBITI RUMELEBI DA TITQMIS YVELGAN UXESADAA DARRVEULI SAXANZRO USAFRTXOEBIS WESEBI. GASULI WLIS PRAQTIKA KI GVICVENEBS, ROM WITELWYAROSI MOMXDARI XANZREBIS 90% GAMOWVEULI IYO RUMELIS ARAWESIERI ANTEBIS SEDEGAD. AMITOM, KATEGORIULAD GEKRZALEBAT, ROGORC WARMOEBADAWESEBULEBEBSI, ISE KERZO INDIVIDUALUR BINEBSI RUMELIT SARGEBLOBA SAXANZRO RAZMISNEBARTVISA DA KONTROLIS GARESE. RUMELIS XMAREBAMDE AUCILEBELIA GAIWMINDOS SAKVAMLEMILEBI DA BUXREBI, SEILESOS SXVENI. SXVENSKI SASTIKAD UNDA AVKRZALOT TIVIS, NAMJIS DASIMINDIS QECECIS SENAXVA.

● QVEMO QEDSI DIDI XANIA DAMTAVRDA SENOBIS MSENEBLOBA DA SIGAKETILMOWYOBIS SAMUSAOEBI, ROMELIC GANKUTVNILIA AFTIAQISTVISA DA SASOFLO AMBULATORIISTVIS. MAGRAM ADGILOBRIVEBIS DIDI SURVILIS MIUXEDAVAD, MISI EQSPLOATACIASI GADACEMA SEUWYNAREBLAD WIANURDEBA IMIS GAMO, ROM KAREBEBI AR ARIS CAMOBMULI. ES KI UKMAYOFILEBAS IWVEVS MEDICINIS MUSAKTA DA MSROMEL MOSAXLEOBAS SORIS. SAMUSAOEBS WITELWYAROS SAKOLMEURNEOBATSORISO SAMSENEBLO SABWO AWARMOEBS. SAWIROA MAT YVELA GADAMWRELI ZOMA MIIRON, ROM DROULAD GAESVAS EQSPLOATACIASI.

## 1973 WLIS OQTOMBERI

● ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBIS DIDNAURIS TERITORIAZE WLEBIS MANZILZE MUSAOBS SAWYOBIS GAMGE GOGIA TOKLIKISVILI. AR GEGONOT, ROM IQ MXVNEL-MTESVELEBTAN ERTAD TOXIT XELSI OFLSA RVRIDES. ARA! ES JAN-RONIT SAVSEAXALGAZRDA TBIL ADGILZE, SAWYOBSIA MOKALATEBULI, MASVE ABARIA MEQANIZATOREBISTVIS DA MINDVRIS MSROMELEBISTVIS GASACEMI SAKVEBI. PRODUQTIS GANAWILEBISAS KI XSIRAD TVITNEBOBAS ICENS. AMASWINAT MEQANIZATOREBI MSIERI DATOVA, WVIMIANI DREA DA AR GIMUSAVNIATO. IS SXVA UMSGAVSO SAQCIELSIC ARIS SEMCNEULI. AMASWINAT, ZEMO MACXAANIS SINMOUSVLELTA SAXL-MUZEUMIS BARSI TAVIS ZMASTAN DA SXVA AMFSONEBTAN -ERTAD UZOMOD MTVRALMA CXUBI ATEXA DA AMWMINDATAWMINDA ADGILZE FIZIKURI SEURACXYOFAMIAYENA KOMKAVSIREL MEQANIZATORS GELA PAPACASVILS, ROMELIC MZIMED DASAVEBULI SAAVADMYOFOSI IWVA. BOROTI ENEBI GOGIAZE KIDEV BEVRAMES AMBOBEN, IS SAKOLMEURNEO QONEBIS XELYOFASIC ARIS SEMCNEULI. AMASWINAT REDAQCIASI CITMA ERTI SAIDUMLOC GVAMCNO. TOKLIKISVILI KOLMEURNEOBIS CXVREBIT XELS ITBOBS, BAZARZE DIDI RAODENOBIT CXVARS HYIDIS DA DID FULS IJIBAVSO. MODIT, NU DAVUJEREBT BOROT XMEES DA ES SAQME GAMGEOBAM DA PARTIULMA ORGANIZACIAM GAARCION.

● IZRDEBA WITELWYARO, YOVELDRIURAD ATASOBIT MSUBUQI DA SATVIRTO MANQANA MOZRAOBS QALAQ WITELWYAROSA DA MIS IRGVLIV MDEBARE SOFLEBIS GZEBZE. MANQANEBIS ASETI SIMRAVLE IWVEVS IMIS SAWIROEBAS, ROM QUCEBI GAGANIVRDES, DAIGOS TROTUAREBI FEXIT MOSIARULETATVIS. AGRETVE, ZOGIERT MOSAXVEVSI GZA ISE MOWES RIGDES, ROM MZROLMA SAPIRISPIROD MOMAVALI AVTOMANQANA DROULAD SENISNOS. WITELWYARODAN SOFEL JAFARIZESTAN CASAXVEVI GZIS KUTXE

ზემო ქედის სკოლაში ბრიგადა საცდელ ნაკვეთში ხეხილის ბაღს აშენებს – 1959 წ.

SI, SADAC MWVANE NARGAVEBIA GASENEBULI, ISETI MKVETRI MOSAXVEVIA, SANAM MANQANAS AR SEECEXEBA MZROLI, VER SENISNAVS. SWORED AMIS GAMO, AMOKLE DROSI, OTXI XUTI AVTO-SEMTXVEVA MOK DA. AM PARKSI KUTXES TU CAMOVWRIT, MKVETRI KUTXE ARAR IQNEBA. SEIZLEBA AMAN ERTI ORIXE IMSXVERPLOS, MAGRAM SAMAGIEROD AVTOSEMTXVEVEBISGAN DAVEZRVEVIT DA AMIT DIDI SQME GAKETDEBA.

● ZEMO MACXAANSI AM RAMDENIME WLIS WINCXOVROBDA SESANISNAVI SPECIALISTI RDIOTEQNIKI VANIA YOCIASVILI, MAGRAM BRMA SEMTXVEVAM IMSXVERPLA ES SROMISMOYVARE KACI. MAS SEMDEG MACXAANSI DA MIRZAANSI RADIOS YURADREBAS ARAVIN AR AQCEVS. MANAMDE DRESASWAULEBZE TU GAAXSENDEBODA VISME DA AALAPARAKEBDNEN DADUMEBULI RADIOS. BOLO XANIA KI MTLIANAD DAMUNJDA. XMAS AR AMOVIREBDIT, MIS ARDGENAZE VINME ROM FIQROBDES. QUCEBSI DADGMUL RADIOREPRODUQTOREBSI KI MERCXLEBMA SAIMEDO BUDE GAIKETES, SAKITXAVIA, RATOM AR EQCEVA AM SAQMES JEROVANI YURADREBA? RASI GVARGIA DADUMEBULI RADIO?

● AMASWINAT, WOETIS, ANU XORNABUJIS CIXIS MIDAMOEBSI SAGANGEBOD GAKETEBUL TYE-PARKSI `MOSAVLIS AREBIS DRE~ GAIMARTA. MISI ORGANIZEBA DAEVALAT ANZOR JALIASVILS, JUMBER UTRUTASVILS DA ANZOR MAZRARASVILS. MOMZADEBA-GANXORCIELEBA KI RAIONIS KULTSAMSAXURS. REJISORMA KARGAD GAARTVA TAVI DA SESANISNAVAD SEUXAMA XALXURI DA VOKALUR-INSTRUMENTULI SIMRREREBI, TEATRALURI DADGMEBI DA LEQSEBI. MAGRAM MAYUREBELS MSVENIVRAD MOMZADEBULI RONISZIEBIS ARQMAS UKARGAVDA DABALI SCENA, RIS GAMOC XILVADOBA WIRDA. ES SAMOMAVLOD AUCILEBLAD GASATVALISWINEBELIA. GVINDA ISIC ARVNISNOT, ROM CIXE-SIMAGRE XORNABUJIS SAEQS KURSIO MARSRUTEBSI SETANA RAIONIS BUNEBRIV SIMDIDRE-SILAMAZETA SAYOVELTAO GACNOBA-DAFASEBAS DIDAD SEUWYOBS XELS DA MET STIMULS MISCEMS WITELWYAROS KULTURUL CXOVREBAS.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

**მონატრება**

## გიორგი გონაშვილი

2017 წლის 9 ოქტომბერს მეხივით გავარდა ხმა საზარელი ტრაგედიისა – დედოფლისწყაროში ავარიას ემსხვერპლა ორი ახალგაზრდა ვაჟკაცი, ორი თანამშრომელი ორივე გიორგი – გონაშვილი გიორგი და პოპიაშვილი გიორგი. 9 ოქტომბერს 1 წელი გავიდა, შვილო, ბაბო მოგიკვდეს, იმ უბედურების დღიდან, რომელმაც ჩვენი ოჯახები ბოლომდე მოსპო და გაანადგურა. 24 წლის ასაკში გზაში მოგისწრო ულმობელმა სიკვდილმა. შენ ხომ სიცოცხლე ძალიან გწყუროდა, გინდოდა გახარება ცოლ-შვილთან, მაგრამ არ დაგცალდა. ვერ გაზარდე შენი პატარა სალომე, რომელსაც ძალიან ენატრები და სულ შენს ხსენებაშია. დაგვტოვე ყველა გაუბედურებული – შენი მეუღლე ლიკა, მშობლები და შენი ერთადერთი და თამუნა. რაც დრო გადის, უფრო მეტია მონატრება. გვენატრება შენი სიცილ-კისკისი. გიო, ბაბო მოგიკვდეს, შენ ძალიან დიდი ტკივილი ხარ ჩემი ოჯახისთვის. შენ ხომ ჩვენი პირველი შვილიშვილი იყავი. პირველი, სიხარული და პირველმა შენვე გაგვამწარე.

9 ოქტომბერს მოვედით შენს სამუდამო სასუფეველთან, მოგიტანეთ ყვავილები. მოვიდნენ შენი ახლობლები, ნათესავები და მეგობრები, დაგინთეთ უამრავი სანთელი და უფალს შევავედრეთ თქვენი ნათელი სულები. ორი ქართველი ვაჟკაცი – ორი გიორგი „გონა“ და გიორგი „სელეზნი“ - უფალმა ნათლეში გამყოფოთ შვილებო, და დაიმკვიდრეთ ცათა სასუფეველი, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ორივე მყავდით ნათელში და ილოცეთ მათთვის, ვინც დაგრჩათ და ვინც კიდევ დაგტირით, იძინეთ მშვიდად, ჩემო შვილებო.

**შენგან გულჩამკვდარი და უბედური ბაბო** ნაირა თემურაზოვი,
**პაპა** თეიმურაზი, **ბიძა** თემური, **ბიცოლა** ნათია ზამთრეულები.

## 14 ოქტომბერი – სვეტიცხოვლობა

მცხეთობა, სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული – ქრისტიანული დღესასწაული საქართველოში. იმართება ქ. მცხეთის საკათედრო ტაძარში, სვეტიცხოველში, 14 ოქტომბერს (ახ. სტ.). დაწესებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ სადიდებლად „კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა“. ამ დღეს ასევე აღინიშნება მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას, წმინდა სიდონიასა და აბიათარის ხსენებაც. ლეგენდის მიხედვით, იესო ქრისტეს კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს, ელიოზსა და ლონგინოზს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ. ელიოზმა სიწმინდე მცხეთაში ჩამოიტანა და თავის დას, მართლმორწმუნე სიდონიას გადასცა, რომელმაც კვართი მკერდზე მიიხუტა და სული განუტევა. ელიოზმა თავისი და კვართითურთ დაკრძალა. საფლავზე ამოსულა მშვენიერი ხე, რომელიც ოთხი საუკუნის შემდეგ მეფე მირიანის ბრძანებით ეკლესიის ასაშენებლად მოუჭრიათ ხუროებს, მისგან დაუმზადებიათ შვიდი სვეტი, მ.შ. ერთი, სახილველად საკვირველი და სასწაულმოქმედი, ვერ აღუმართავთ. იგი მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვა-კურთხევების შემდეგ აღმართულა იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დაკრძალული. აქ აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარიც.

შვილები: ლიანა, ქეთინო. სიძეები: ზურა, გია. შვილიშვილები: გიორგი, ნოდარი, ნინო. რძალი ნათია; შვილთაშვილი კატო იუწყებიან
ნანული ნანოგაშვილ-ბაიდოშვილის
გარდაცვალებას.
დაიკრძალა 11 ოქტომბერს, დედოფლისწყაროში.

წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის დედათა მონასტრის მრევლი სამძიმარს უცხადებს დეკანოზ გაბრიელ ბენიაიძისა და ნიკოლოზ ბენიაიძის ოჯახებს მამის
ნოდარ ბენიაძის
გარდაცვალების გამო.

წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის დედათა მონასტრის სტიქაროსანი ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი სამძიმარს უცხადებს დეკანოზ გაბრიელ ბენიაიძეს მამის
ნოდარ ბენიაიძის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს კულტურის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი ნელი გობეჯიშვილი და ბუღალტერიის თანამშრომლები: მარინა ჯამასპიშვილი, მარინა მოლაშვილი, ენდი კიკილაშვილი და ლამარა გომელაური იუწყებიან ყოფილი ბუღალტრის
ნანა ნანოგაშვილ-ბაიდოშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ლიანა და ქეთინო ბაიდოშვილებს.

ნელი გობეჯიშვილი, ანა ბენაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნიკოლოზ ბენიაიძის და დეკანოზ გაბრიელის ოჯახებს მამის
ნოდარ ბენიაიძის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლია ბაიდოშვილს დედის
ნანა ნანოგაშვილ-ბაიდოშვილის
გარდაცვალების გამო.

მარინე, გურამი, ვანო მოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ლიანა და ქეთინო ბაიდოშვილებს ძვირფასი დედის
ნანულის
გარდაცვალების გამო.

# სიკეთე გადამდებია...

სწორედ ის საზოგადოებაა ჯანსაღი, რომლისთვისაც პრიორიტეტულია არა მარტო საკუთარი თავი, არამედ სხვაც. თითოეულმა ადამიანმა უნდა გავითავისოთ, რომ საკუთარი ბედნიერებისთვის საჭიროა გარშემომყოფებიც ბედნიერები იყვნენ. როგორც დიდი ილია გვეუბნებოდა, „ყოველდღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე", და თუ ამ პრინციპით ვიცხოვრებთ, ყველას უფლება დაცული იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთა ზრუნვამ და მხარდაჭერამ გვიხსნა ოდესღაც განსაცდელისგან, რომელთაც არავინ არ უწოდებს გმირებს, ისინი არ შეყავთ გინესის წიგნში ჩადენილი სიკეთისთვის, მაგრამ სწორედ მათი დროზე გამოწვდილი ხელი და გული, ზრუნვა და მხარდაჭერა, თანადგომა და სიყვარული, ზოგჯერ დროულად ნათქვამი სულ ერთი სიტყვა არის ის,რითაც ერთმანეთი გადაგვირჩენია, რის გამოც ღირს ცხოვრება...

6 ოქტომბერს დედოფლისწყაროში (N1 ბაგა-ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე) დაარსდა საქველმოქმედო საზოგადოება „ჩირაღდანი", სადაც მოეწყო სკოლებისა და ბაგა-ბაღების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა-გაყიდვა, შემოსული თანხები გადაეცა ავტორებს. ახლადგახსნილი ორგანიზაციის ფუძემდებელია ჩვენი თანამემამულე, დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის ყოფილი კურსდამთავრებული და ამავე სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, მარინა ინასარიძის ვაჟი, გერმანიაში მცხოვრები ლევან ჯანაშვილი, რომლის მიერ არაერთგზის გაწეულ ქველმოქმედებაზე ჩვენ ინფორმაციას ყოველთვის ვაწვდიდით მკითხველს, მაგრამ, ახლა გადავწყვიტეთ, ვრცლად, უფრო ახლოს გაგაცნოთ ლევანი და მისი ახალი პროექტის სამომავლო გეგმები.

**მინი დოსიე:** დავიბადე 1982 წლის 21 აგვისტოს, ქ. წითელწყაროში. 1988 — 1999 წლებში ვსწავლობდი და დავამთავრე დედოფლისწყაროს პირველი საშუალო სკოლა. 2003 წელს დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,შემდეგ მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი — სამედიცინო და პრეციზიული მიკროიარაღების კონსტრუირებისა და წარმოების სპეციალობით, 2004 — 2013 წელს კლაუსტჰალის ტექნიკური უნივერსიტეტი, მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი, სპეციალიზაციით მექატრონიკა. ვარ დიპლომირებული ინჟინერი. 2009 — 2012 წლებში ვმუშაობდი დამხმარე მეცნიერ-თანამშრომლად კლაუსტჰალის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ტრიბოლოგიისა და ენერგოგარდამქმნელი მანქანების ინსტიტუტში. 2013 — 2014 წელს ვიყავ მეცნიერ-თანამშრომელი კლაუსტჰალის ტექნიკურ უნივერსიტეტში, მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში. 2014 — 2015 წელს გავხდი ინჟინერი ფირმა **„Bertrandt"**-ში.( ელექტრომანქანების სატესტო დანადგარების შექმნა). 2015-დან ვარ ინჟინერი ფირმა „შცჰაეფფლერ"-ში. (შიგაწვის ძრავების განვითარება სხვადასხვა მანქანების მწარმოებელი ფირმებისთვის). მყავს ორი შვილი- მარინა და შოთიკო.

**— თუ გახსოვთ, პირველად როდის დაიწყეთ ქველმოქმედებაზე ჯერ ფიქრი, მერე მოქმედება...**

— ქველმოქმედებაზე ფიქრს მშობლებმა მიმაჩვიეს, ბავშვობაში მახსოვს, შეშას რომ ვჭრიდით, მამა მეუბნებოდა, ეხლა ეს შეშა აიღე და ვისაც არ აქვს, იმას წაუღეო. ვიღებდი და მიმქონდა.

**— რას გრძნობთ, როდესაც ადამიანებს ეხმარებით...**

— ჩემი მიზანია, ხელი შევუწყო ადამიანს, თვითონ დადგეს ფეხზე და შემდგომ, თვითონვე შეძლოს სხვისთვის დახმარების გაწევა. ასეთი ქმედება ერგება არა მარტო ცალკეულ ადამიანს, არამედ მთელ საზოგადოებას და სწორედ ეს მანიჭებს სიამოვნებას.

**— რამდენი წელია გერმანიაში ცხოვრობთ, შეგცვალათ თუ არა ამ წლებმა და ქველმოქმედებას, როგორც ვიცით, აქ ეწევით ძირითადად, ეს, ალბათ, სამშობლოს სიყვარულის ის განცდაა, რომელსაც ვერანაირი სიშორე და დრო ვერ აკლებს ვერაფერს, პირიქით, მგონია, რომ, რაც უფრო შორს ხარ ადამიანი შენი სამშობლოდან, მით მეტად გიყვარს, გენატრება და განიცდი, ასეა?**

— დაახლოებით 15 წელია, ვცხოვრობ გერმანიაში და, რა თქმა უნდა, შემცვალა ამ წლებმა. მაგრამ, რაც დრო გადის და რაც უფრო შორს ხარ, სამშობლოს სიყვარული იმდენად მეტად იზრდება ჩემში. გარდა ამისა, აქაურ პრობლემებს უკეთ ვიცნობ და მაინტერესებს, ვიდრე სხვა რეგიონებისა და, რა თქმა უნდა, საქართველოს დახმარება უფრო ესაჭიროება, ვიდრე, მაგალითად, გერმანიას.

**— როგორც თანამედროვე ახალგაზრდა, რა პარალელს გაავლებდით ჩვენს ახალგაზრდებსა და უცხოელ ახალგაზრდებს შორის. ხედავთ საერთოს? იქნებ მანდ უფრო ბევრს სწავლობენ და მეტს შრომობენ, რომ წარმატებულები გახდნენ? ანუ, რა აკლიათ ჩვენს ახალგაზრდობას, ან იქნებ პირიქით, მეტიც აქვთ და უბრალოდ, ქვეყნის ეკონომიკური პირობების გამო ვერ ფასდებიან შესაბამისად? თქვენი აზრი მაგ გადმოსახედიდან...**

— გერმანიაში ახალგაზრდები ბევრად უფრო დამოუკიდებლები არიან, ვიდრე ქართველები. თვით ის ფაქტი, რომ ამ კითხვას მისვამთ, მიუთითებს დამოუკიდებლობასთან არსებულ პრობლემებზე. ახალგაზრდები კი არ უნდა ფასდებოდნენ სხვის მიერ, არამედ თვითონ უნდა ქმნიდნენ საკუთარ მომავალს. გერმანელი მოზარდი სკოლის დამთავრების შემდეგ ტოვებს მშობლიურ სახლს და იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. მშობელი კი ვალდებულია, მაქსიმალურად კარგად მოამზადოს საკუთარი შვილი ამ გზისთვის. საქართველოში, ჩემი აზრით, არის დიდი პრობლემები აღზრდასთან დაკავშირებით, ამას ქვეყნის ეკონომიკურ პირობებთან არანაირი კავშირი არ აქვს.

**— რა არის თქვენთვის მთავარი აზრი, ბედნიერების გასაღები?**

— ჰარმონია საკუთარ თავთან...

**— მოგვიყევით თქვენი გერმანელი პარტნიორების და თქვენი საქველმოქმედო ორგანიზაციის მიზნების და სამომავლო გეგმების თაობაზე...**

— ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს მოზარდების აღზრდას და განათლებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა, მაგ.: შემოქმედებითობა, დამოუკიდებლობა, კომუნიკაბელურობა. ამისთვის ჩამოყალიბდება რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც დამოუკიდებლად დაამუშავებენ ამოცანებს და ჩატარდება ჯგუფებს შორის შეჯიბრი, გამარჯვებული ჯგუფი დაჯილდოვდება. ასევე, დაგეგმილია სხვადასხვა ქვეყნებთან მოსწავლეების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება. ეს პროექტი წამოვიწყე ჩემს მეგობრებთან ერთად. ესენი არიან: ანა თორმაიერი, ირინა ფიროსმანაშვილი, ზაზა გაგნიძე, ირაკლი ბეჭვაია და გიორგი (გოგიტა) ჯანაშვილი. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ირინა ფიროსმანაშვილს.

წერილის მომზადებისას რედაქციაში შემოვიდა №1, №2 საჯარო სკოლების და №2 ბაგა-ბაღის მადლობის წერილები, სადაც მასწავლებლები, სპეციპედაგოგები მშობლებთან და მოსწავლეებთან ერთად უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ ასეთი გულისხმიერი ახლგაზრდის-ლევან ჯანაშვილის მიმართ, რომელმაც არაერთგზის გასწია მათ სკოლებში და სააღმზრდელო დაწესებულებებში არაერთი სახის ქველმოქმედება, ეს იქნებოდა რესურსოთახების აღჭურვა, შშმ მოსწავლეებისთვის საკანცელარიო ნივთებით, ჩანთებით და სხვა საჭირო საგნებით დასაჩუქრება, მოსწავლეთა პრობლემებით დაინტერესება, შემდგომში დახმარების გაწევის მიზნით და სხვა.

დასასრულს, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი შთაბეჭდილება 6 ოქტომბრის პრეზენტაციაზე. როდესაც მარინა მასწავლებელმა გამაცნო ლევანი და მითხრა, ეს არის ჩემი შვილიო, მის სახეზე და თვალებში განუზომელი სიკეთის სხივი იღვრებოდა, რომელიც ძალიან გადამდები იყო და იქიდან პოზიტიური განწყობით დაბრუნებულს, თვალწინ მედგა იმ ბავშვების სახეები და ნახატები, რომლებმაც ლევანის გაცნობის შემდეგ თემატიკა შეცვალეს და სევდიანის მერე, სიხარულის ამსახველი ნახატებით შეავსეს გამოფენა. სიკეთე ხომ სინამდვილეში გადამდები „სენია", ასე რომ არ იყოს, ადამიანი ამდენ სტიქიას, ომს და ბოროტებას ვერ გაუძლებდა, ამიტომაც გვიმრავლოს ლევანისნაირი ახალგაზრდები და გადაგვდებოდეს მათგან სიკეთე და მოყვასის თანადგომა....

ელზა ხარაშვილი


## ულოცავენ!

### ნიკო შანშიაშვილს!

გილოცავთ 92 წლისთავს და სვეტიცხოვლობის დღესასწაულს. გვიხარია, რომ მოესწარით ამ ასაკს, მაგრამ გვწყინს, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგი სიბერისკენ. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, გვინდა, რომ საუკუნოვანი იუბილეც მოგილოცოთ. გისურვებთ, რომ კიდევ ბევრჯერ გექეიფოთ მეგობრებთან ერთად.

ელგუჯა ტუხაშვილი ოჯახით.

### ზურაბ ბუწაშვილს და თეო ყაზაროვს!

გულწრფელად გვიხარია თქვენი პირველი შვილის, პატარა ქალბატონის – ანიტას დაბადება. ვუსურვებთ მას, გაიზარდოს ჯანმრთელი და ბედნიერი. თქვენ კი – აკვანთა სიმრავლე და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

**სიყვარულით,**
თქვენი „შირაქელები"

## ყიდება!

სოფელ ხორნაბუჯში, ფორე მოსულიშვილის ქუჩაზე, იყიდება სახლი ბელეტაჟზე, სადაც განთავსებულია ოთხი საცხოვრებელი ოთახი აივნით, სარდაფით. შენობა უზრუნველყოფილია წყლით, ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირით. ეზოში განთავსებულია კაპიტალური სათავსოები. ბაღში დგას ნაყოფისმომცემი ხეები. ფასი 10 000 დოლარი. დარეკეთ:
☎ 558 511951; 574999550;

## ყიდება!

სამოთახიანი არასტანდარტული, კეთილმოწყობილი ბინა, ავტოფარეხით- 9 ძმის ქ. №1 ბეკოს თავზე მეორე სართული.
საკონტაქტო ტელეფონი:
☎ 599 53 06 16;

## ქირავდება!

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩა №9-ში („დომ ბიტამდე"), მე-8 სართულზე ქირავდება ერთოთახიანი სუფთა ბინა, ფასი 450 ლარი (შეიძლება ფასზე მოლაპარაკებაც). მსურველები დაგვიკავშირდით:
☎599 85 58 32

## ვაკანსია

ქ. დედოფლისწყაროში, სილამაზის ცენტრში, გვესაჭიროება სტილისტის, კოსმეტოლოგის, ვიზაჟის, ტატუაჟის, მასაჟის, პედიკურ-მანიკურის პროფესიონალი სპეციალისტები. სულ მალე გაიხსნება ცენტრი და ყველა ჩამოთვლილი მომსახურება პირველად იქნება განთავსებული ერთ სივრცეში. მსურველები დამიკავშირდით ნომერზე.
☎ 577 95 96 94

## იყიდება!

იყიდება კორპუსის სამოთახიანი ბინა.
მისამართი: რუსთაველის ქ №4, კორპუსი 31, მე-2 სართული, ბინა 9, სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომაღაზიის მაღლა.
555 23 26 80
ეკატ☎ნე. ფასი შეთანხმებით.


## ამინდი

### დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 15.10 | | სამშაბათი 16.10 | | ოთხშაბათი 17.10 | | ხუთშაბათი 18.10 | | პარასკევი 19.10 | | შაბათი 20.10 | | კვირა 21.10 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 12° | 10° | 11° | 8° | 10° | 8° | 12° | 10° | 13° | 11° | 14° | 11° | 13° | 11° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.